

საქართველოს აგრორული ბიომრავალფეროვნება ▼ კასტალი



საქართველოს
აგრორული ბიოტექნოლოგიური ინოვაცია
კავშირები

თბილისი
2019

კატალოგი – „საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება“ მომზადდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ და „National Geographic საქართველოს“ მიერ, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის – „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBIS) ფინანსური მხარდაჭერით.

კატალოგზე ასოციაცია „ელკანას“ მხრიდან იმუშავეს:

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ჯორჯაძე, თამაზ დუნდუა,
ელენე შატბერაშვილი, მანანა გიგაური

ლიტერატურული რედაქტორი:

ნოდარ ებრალიძე

ფოტოები:

ნანა რუსიშვილი, ია ებრალიძე, თამაზ დუნდუა, ნიკა ასლამაზიშვილი, ცოტნე სამადაშვილი,
ზვიად ბობოქაშვილი, ნუგზარ შენგელია, ნატო მიქაძე

კატალოგზე National Geographic საქართველოს მხრიდან იმუშავეს:

მთავარი რედაქტორი:

ნათია ხულუზაური

გამომცემელი:

ანა ცაბაძე

დიზაინი, დაკაბადონება:

რუსუდან ყიფიანი

კორექტორი:

მანანა სანადირაძე

პროექტის მენეჯერები:

ქეთევან ელიავა, თამთა მიქაძე

ტექსტის ავტორები:

შესავალი სტატია: ნანა რუსიშვილი, მარინე მოსულიშვილი
მარცვლოვანი კულტურები: ცოტნე სამადაშვილი, მირიან ჩოხელი
ფეტვნიური და პარკოსანი კულტურები: ანა დევიძე, თინათინ კოშაძე
ბოსტნეული კულტურები: ელენე მოთიაშვილი
ხეხილი და კენკროვანი კულტურები: ზვიად ბობოქაშვილი, ლალი გოგინავა

გამომცემლობა:

შპს „გამომცემლობა კოლორი“

ISBN 978-9941-8-1837-0

© ყველა უფლება დაცულია





წყლის წისქვილი სვანეთში. 1870-1910 წლები, დ. ერმაკოვის ფოტო, საქართველოს ეროვნული არქივი

შინაარსი



09

წინასიტყვაობა

11

საქართველოს ეთნობოტანიკა

16

კულტურული მცენარეების წარმოშობის
მსოფლიო კერები

18

კულტურულ მცენარეთა წარმოშობის
წინააზიური კერის პალეოეთნობოტანიკური რუკა

21

მინდვრის კულტურები და ბოსტნეული

79

ხეხილი და კენკრა

138

ლიტერატურა



კალიობა მუხრანში, 1870-1910 წლები, დ. ერმაკოვის ფოტო, საქართველოს ეროვნული არქივი

წინასწარმეტყველება

სლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლისა და ტრადიციული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის, არამედ, უპირველესად, სასურსათო უსაფრთხოების გრძელვადიანი უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

საქართველოში ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მნიშვნელობის გადაფასებისა და მათი ჩანაცვლების პროცესი XVII საუკუნიდან იწყება, როდესაც ამერიკიდან შემოვიდა ისეთი კულტურები, როგორებიცაა ლობიო, სიმინდი, მზესუმზირა და სხვ. საბჭოთა ეპოქაში, გეგმიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა სპეციალიზაციის პოლიტიკამ, განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან, სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი მცენარეული გენეტიკური რესურსების სერიოზული შემცირება გამოიწვია. 1990-იანი წლებისათვის მრავალი ადგილობრივი ჯიში მხოლოდ სამეცნიერო ინსტიტუტების კოლექციებში იყო შემორჩენილი. მიუხედავად ზემოთქმულისა, აგრარული ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც, მწირი დაფინანსებისა და მუდმივი რეფორმების პირობებში სამეცნიერო ინსტიტუტებში შენახული კოლექციების შენარჩუნებაც გაჭირდა. ბოლო წლებში, ცალკეული ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოს

მცდელობით, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სხვადასხვა პროგრამა და პროექტი განხორციელდა. თუმცა, ეს მცდელობები მაინც არ არის საკმარისი აგრარული ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად – კოლექციებში დაცული ერთწლიანი კულტურების სათესლე მასალის განახლება ნშირად დროულად ვერ ხერხდება, გასაახლებელია ასევე ხეხილისა და სუბტროპიკული კულტურების კოლექციებიც.

აღსანიშნავია, რომ ბოსტნეული და ბალახოვანი კულტურების აღწერა-შესწავლა ჩვენში თავიდანვე შედარებით სუსტად იყო განვითარებული, რის გამოც საქართველოში მთელ რიგ კულტურულ მცენარეთა ისტორიისა და მათი ადგილობრივი ფორმებისა და ჯიშების შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით.

წინამდებარე კატალოგის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს წარმოადგინა შეუქმნას საქართველოს კულტურული ფლორის მრავალფეროვნების შესახებ და გააცნოს კულტურულ მცენარეთა (მინდვრის, ბოსტნეული და კენკროვანი კულტურების, ასევე ხეხილის) ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზოგიერთი ენდემური სახეობა და ადგილობრივი ჯიში, რომელთა აღწერილობისა და ფოტომასალის მოძიება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

საქართველოს კულტურული ფლორის სრულყოფილი ატლასის გამოცემა მომავლის საქმეა – ზოგიერთი ჯიშის მოძიებას ექსპედიციები სჭირდება, სხვებისას – კოლექციებიდან გამოთხოვა და სპეციალურად დათესვა ან ჯიშის სინმინდის

დადგენა (მაგ., პომიდვრისა და კიტრის შემთხვევაში). შესაბამისად, წინამდებარე გამოცემა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს საქართველოს კულტურული მცენარეების სახეობრივ და ჯიშობრივ მრავალფეროვნებას.




კატალოგი ეყრდნობა 2012 წელს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასა“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, მომზადებულ „საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების ელექტრონული კატალოგის“ მონაცემებს, სადაც გაერთიანებულია კულტურული მცენარეების ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები, ასევე სასოფლო-სამეურნეო და მომინაურებული ცხოველების ადგილობრივი ჯიშები:

- 
მინდვრისა და ბოსტნეული კულტურები

- 
ვაზი

- 
ხეხილი და კენკროვანი კულტურები

- 
სასოფლო-სამეურნეო შინაური ცხოველები



497

პურის მკა დიდ ჭიხაიშში, ნ. ნაკლაძის ოჯახი, 1909 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ეთნოგოგნიკა



კულტურული მხედრების წარმოშობის კენჭი და საქართველო

ადამიანმა სამეურნეო საქმიანობაზე, ანუ მონადირეობა-შემგროვებლობიდან მცენარეთა მოყვანასა და ცხოველების მოშენებაზე გადასვლა, დაახლოებით, 12-10 ათასი წლის წინ, ნეოლითის (ახალი ქვის) ხანაში, დაიწყო. ეს პერიოდი დიდი კულტურული გარდაქმნის – ნეოლითური რევოლუციის – სახელითაა ცნობილი და სწორედ ამ ხანას უკავშირდება კულტურულ მცენარეთა წარმოშობა. მცენარეთა მოშინაურების (დომესტიკაციის) პროცესი გეოგრაფიულად გაბნეული იყო – მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ხალხებმა მათ გარშემო არსებული სხვადასხვა, მათთვის მნიშვნელოვანი ველური მცენარეების მოშინაურება დაიწყეს – მაგ., სიმინდის კულტურის მოშინაურება ცენტრალურ ამერიკაში მოხდა, ხორბლის – წინააზიაში, ბრინჯის – აღმოსავლეთ აზიაში და სხვ. საინტერესოა, რომ კაცობრიობამ დომესტიკაციისათვის თავდაპირველად მარცვლეული და პარკოსანი კულტურები შეარჩია. კულტურულ მცენარეთა მოშინაურება დიდწილად რამდენიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მოხდა (მეცნიერები ამ გეოგრაფიულ რეგიონებს კულტურული მცენარეების წარმოშობის კერებს უწოდებენ), იქ, სა-

კვლად გიორგიცა მზნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ენოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის).

ვახუშტი ბატონიშვილი

1696-1757

ალწინა საქაფოსა საქართველოსა



რბილი ხორბლის ანაბეჭდი ალიზის აგურზე – არუხლო, ძვ. წ. აღ. მე-6 ათასწლეული საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია

დაც მცენარეთა (მათ შორის, კონკრეტული კულტურების ველური მონათესავე სახეობების) მაღალი მრავალფეროვნება და მინათმოქმედების განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები იყო. ამიტომ, კულტურული მცენარეების წარმოშობის კერები, ძირითადად, ემთხვევა უძველეს ადრესამინათმოქმედო ნამოსახლარებს და პირველი ცივილიზაციების წარმოშობა-განვითარების კერებს.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურებისა და სოფლის მეურნეობის წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა მდებარეობს წინა აზიის ტერიტორიაზე, და იგი მოიცავს მცირე აზიას, სამხრეთ კავკასიას, ირანსა და თურქმენეთის მთიანეთს. საქართველოს ტერიტორიას კულტურულ მცენარეთა წარმოშობის წინააზიურ კერაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

კულტურული მხედრების ველური მონათესავე სახეობები და მათი მრავალფეროვნება საქართველოში

კულტურულ მცენარეთა წარმოშობის კერები პირდაპირ უკავშირდება სამეურნეო მნიშვნელობის ველურ მცენარე-



რეთა მრავალფეროვნებას და, განსაკუთრებით, კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების არსებობას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამა თუ იმ კულტურული მცენარის წარმოშობაში ან ენათესავეებიან მათ და აქვთ უნარი, გაცვალონ გენები კულტურულ მცენარეებთან.

საქართველოში აღრიცხულია მცენარეთა 20 ოჯახი, 76 გვარი და 479 სახეობა, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს უძველესი კულტურების ველურ ნათესავეებს. მათგან 114 (23.8%) საქართველოს ენდემია, ანუ, საქართველოს გარდა, არსად გვხვდება. მცენარეთა ამ სახეობების უმრავლესობა გენეტიკურად მჭიდროდ ენათესავენ ადგილობრივ ჯიშებს (ლენდრასებს) და შესაძლოა მათი წინაპარი სახეობებიც არიან.

აღსანიშნავია მინდვრის კულტურების ისეთი ველური ნათესავეები, როგორებიცაა, მაგალითად, ველური ხორბალი – *Aegilops tauschii*, ქერი – *Hordeum spontaneum*, *Hordeum leporinum*, *Hordeum bulbosum*; შვრია – *Avena strigosa subsp. barbata*; ჭვავი – *Secale anatolicum*, ცულისპირა – *Lathyrus tuberosus*, ცერცველა *Vicia johannis*, სელი – *Linum humile*, ხახვი – *Allium cardiostemon*, სატაცური – *Asparagus caspius* და სხვ.

უძველესი ნამგალი – ბრამის დიდი გორა, ძვ. წ. აღ. მე-3 ათასწლეული
მასალა – ირმის რქის ბუდე, კაჟის ჩასართები
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია

საქართველოში ველურად გავრცელებული ხეხილისა და კენკროვანი კულტურებიდან აღსანიშნავია პანტა (*Pyrus communis*, *P. caucasica*), მაჟალო (*Malus domestica*, *M. orientalis*), კომში (*Cydonia oblonga*), კვინჩხი (*Prunus spinosa*), ალუჩა (*Prunus vachushti*), ტყემალი (*Prunus cerasifera var. divaricata*), ბალამწარა (*Cerasus avium*, *C. vulgaris*), შინდი (*Cornus mas*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), ბრონეული (*Punica granatum*), ჟოლო (*Rubus idaeus*), მოცხარი (*Ribes rubrum*, *R. nigrum*, *R. alpinum*, *R. biebersteinii*), ლელვი (*Ficus carica*), ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), თხილი (*Corylus avellana*), ნუში (*Amygdalus communis*), კაკალი (*Juglans regia*) და ნაბლი (*Castanea sativa*). ამ ველური მონათესავე სახეობების ნაწილი, მაგ., ბრონეული და ლელვი, მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს, ანუ, სავარაუდოდ, გვიან არის შემოტანილი საქართველოს ტერიტორიაზე, სხვები კი აქ უძველესი დროიდან და მრავალი ფორმით ხარობს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გავრცელებული ვაზის ველური მონათესავე სახეობა (*Vitis vinifera*

subsp. sylvestris) მსგავსებას ამჟღავნებს ადგილობრივ ჯიშებთან გენეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით, რაც, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ადასტურებს ვაზის გაკულტურებას საქართველოში.

ზოგიერთი ველური მონათესავე სახეობა შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხასა და წითელ წიგნში“. მაგ.: მცირენაყოფიანი ბალამწარა (*Cerasus microcarpa*), ქართული ნუში (*Amygdalus georgica*), კოლხური თხილი (*Corylus colchica*), კაკლის ხე (*Juglans regia*), ჩვეულებრივი ნაბლი (*Castanea sativa*), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis*), დემეტრის ბერყენა (*Pyrus demetrii*), კეცხოველის ბერყენა



თხილი (*Corylus avellana*) – ანანაურის ყორღანი, ადრეპრინჯაოს ხანა, ძვ. წ. აღ. მე-3 ათასწლეული
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია



ფეტვი (*Panicum miliaceum*)
– ნამჭედური, შუაბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. აღ. მე-2 ათასწლეული საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია

ნა (*Pyrus ketzkhoveli*), სახოკიას ბერყენა (*Pyrus sachokiana*) და კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*).

კადეოეთნობოტანიკური და ისტორიული მონაცემები

გარდა ველური ბიომრავალფეროვნების შესწავლით მიღებული მონაცემებისა, კულტურული მცენარეების წარმოშობის კერების დასადგენად უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა არქეობოტანიკური, ანუ პალეოეთნობოტანიკური, მასალები. არქეობოტანიკა საშუალებას გვაძლევს ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონში – ნეოლითიდან გვიანდელ შუასაუკუნეებამდე მივადევნოთ თვალი კულტურულ მცენარეთა ისტორიასა და მინათმოქმედების განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიაზე, მარნეულის ველზე, გასული საუკუნიდან მიმდინარეობს ნეოლითური ადრესამინათმოქმედო ნამოსახლარების (არუხლო, ხრამის დიდი გორა, შულავრის გორა, გადაჭრილი გორა, იმირის გორა და სხვ.) შესწავლა. ჩატარებულმა რადიოკარბონულმა კვლევებმა ნამოსახლარები ძველი ნელთალრიცხვის VI ათასწლეულით დაათარიდა. არქეობოტანიკური მონაცემებით გამოვლინდა ხორბლის რამდენიმე სახეობა (მათ შორის რბი-

ლი ხორბალი, კულტურული ერთმარცვალა, კულტურული ორმარცვალა, სპელტა, დიკა, მაგარი ხორბალი, ქონდარა ხორბალი და სხვ.), ასევე კილიანმარცვლიანი და შიშველმარცვლიანი ქერი, პარკოსნებიდან – ოსპი, ბარდა, უგრეხელი. ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მცენარეული ნაშთები საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ძველი ნელთალრიცხვის VI ათასწლეულში აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა განვითარებული მწარმოებლური მეურნეობა. ხორბლის გვარი ბოტანიკურად უკვე დიფერენცირებული იყო და, კილიანმარცვლიან ფორმებთან ერთად, შიშველმარცვლიანი რბილი და მაგარი ხორბლებიც გვხვდებოდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მინათმოქმედების ჩასახვა საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ უფრო ადრეულ ხანაში დაწყებულია და 8000 წელზე უფრო დიდ პერიოდს მოიცავს.

განვითარებული მინათმოქმედება დასტურდება აგრეთვე მომდევნო პერიოდებში – ბრინჯაოს და ანტიკურ ხანაში, ასევე შუა საუკუნეებში, რაც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ მინათმოქმედების ევოლუცია და უწყვეტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ისტორია საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან ერთად, საინტერესო ინფორმა-

ციას გვანვდის სხვადასხვა ადგილობრივი თუ უცხოური ლიტერატურული და ისტორიული წყარო და სხვა მატერიალური კულტურის ძეგლები (ფრესკები, გამოსახულებები ბარელიეფებზე, კერამიკაზე, ხელნაწერებში და სხვ.).

საქართველოში უძველესი რიოიდან ბაჟისა და კულტურული მცენარეთა სახეობები და აღმოჩენილი ჭიშები (დენდრასები)

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოჰყავდათ მარცვლოვნები (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი, ლომი), პარკოსნები (ცულისპირა, ბარდა, მუხუდო, ცერცველა, ცერცვი, ოსპი, ძაძა), სელი, ხახვი, ნიორი, კაკლოვნები (ნუში, თხილი, ნაბლი, კაკალი), ხილი (მსხალი, ვაშლი, კომში, ქლიავი, ტყემალი, შინდი, ზღმარტლი, ლეღვი). ზოგიერთი მათგანისათვის საქართველოს ტერიტორია შესაძლებელია პირველადი ან ერთ-ერთი წარმოშობის კერაც იყოს. დროთა განმავლობაში ხალხური სელექციის შედეგად ამ კულტურების მრავალი ადგილობრივი ჯიში, სახესხვაობა და ფორმა ჩამოყალიბდა.

ამასთან, მდიდარი ველური ფლორისა და



პურის ცხობა თონეში, 1870-1910 წლები, დ. გრმაკოვის ფოტო, საქართველოს ეროვნული არქივი

ვრცელი ტყის მასივების გამო, საქართველოში შემგროვებლობას მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს – კენკროვანი კულტურები (ყოლო, მაცვალი, მოცვი, მარწყვი, ქაცვი, კონახური და სხვ.), ტყე-მალე, შინდი, ლოლნაშო, ნაბლი, კაკალი, თხილი, ისევე როგორც „მხალეულების“ და „მწვანელების“ დიდი მრავალფეროვნება (სატაცური, ლოლო, ნაცარქათამა, დანდური, ჭინჭარი, ბალბა, ეკალა და სხვ.) დღემდე გროვდება და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტრადიციული საკვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

შამოსანილი კალსუნაი მხანაჩაების ადგილობრივი ჭიშაბი (დენდრასაბი)

საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს. ამიტომ, მრავალი კულტურული მცენარე, რომლებიც დღეს ჩვენი ყოველდღიური რაციონის შემადგენელი ნაწილია, საქართველოში მსოფლიოს სხვა კუთხიდან და სხვადასხვა დროს შემოვიდა. ზოგიერთი კულტურა, როგორებიცაა მაგ., თუთა, ატამი, ბრონეული და მრავალი სხვ., რომლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მიდამოებში იქნა გაკულტურებული, საქართველოში მრავალი ასწლეულია, რაც მოჰყავთ. სხვა კულ-



ონტკოვა (*Physalis alkekengi*) – ანანაურის ყორღანი, ადრე-ბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. აღ. მე-3 ათასწლეული საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია

ტურები შედარებით გვიან შემოვიდა, თუმცა მეტად პოპულარული გახდა და ფართოდ გავრცელდა: კიტრი, ბადრიჯანი, ზაფრანა და შავი პილპილი ინდოეთიდან შემოიტანეს; საზამთრო – სამხრეთ აფრიკიდან; სიმინდი, მზესუმზირა, პომიდორი, ლობიო, წინაკა, თუთუნი და კარტოფილი დაახლოებით იმ დროს შემოუტანიათ ამერიკიდან, რაც ევროპაში გავრცელდა; ჩაი და ციტრუსები – ჩინეთიდან შემოსულა და სხვ. დროთა განმავლობაში, ამ კულტურების ადგილობრივი ჯიშებიც ჩამოყალიბდა. მაგალითისათვის, ქართველ მეცნიერებს ლობიოს 61 ადგილობრივი ჯიში აქვთ აღწერილი.

ს რქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას, სულ მცირე, 8000-წლოვანი ისტორია აქვს. უძველესი კულტურებისა და მათი ველური ნათესავების დღემდე არსებული დიდი მორფოლოგიური და გენეტიკური მრავალფეროვნება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ტერიტორია თავად წარმოადგენს რიგი უმნიშვნელოვანესი კულტურული მცენარის წარმოშობის ერთ-ერთ კერას. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხორბალი გამოირჩევა. საქართლოში აღწერილია ხორბლის ხუთი ენდემური სახეობა: ჩელტა ზანდური (*Triticum timopheevii* Zhuk.), კოლხური ასლი (*Triticum palaeocolchicum* Menabde), მახა (*Triticum macha* Dekapr. & Menabde), ჰექსაპლოიდური ზანდური (*Triticum zhukovskiyi* Menabde & Ericzjan) და დიკა (*Triticum carthlicum* Nevski). ამავე დროს, საქართველოს ტერიტორია, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, სადაც საუკუნეების განმავლობაში შემოედინებოდა და ადაპტირდებოდა ახალი მცენარეული გენეტიკური მასალა. ამიტომ საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესწავლასა და კონსერვაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კულტურული ფლორის ისტორიის შესასწავლად.

კულტურული მხანარების წარმოშობის გეოგრაფიული პერეპი


- I ჩინურ-იაპონური
- II ინდონეზიურ-ინდოჩინური
- III ავსტრალიური
- IV ინდოსტანის
- V შუააზიური
- VI წინააზიური
- VII ხმელთაშუაზღვისპირული
- VIII აფრო-ეთიპიური
- IX ევროპულ-ციმბირული
- X ცენტრალურამერიკული
- XI სამხრეთამერიკული
- XII ჩრდილოამერიკული





კულტურულ მემკვიდრეობის წარმომადგენლის წინააღმდეგობის კალენდარი

- 1 ალი კოში (Ali Kosh), ირანი, ხუნძისტანი, დე ფლურანის დაბლობი > 9600-8350 წლის წინანდელი პერიოდი
- 2 ტეპე საბზი (Tepe Sabz), ირანი, ხუნძისტანი, ლურანის დაბლობი > 8350-7750 წლის წინანდელი პერიოდი
- 3 ჯარმო (Jarmo), ერაყი, ქურთისტანი > 9450-9300 წლის წინანდელი პერიოდი
- 4 ჩაიონიუ (Çayönü), თურქეთი, დიარბაქირის პროვინცია > 10250-9550 წლის წინანდელი პერიოდი
- 5 ჩათალჰიუკი (Çatalhöyük), თურქეთი, კონიას პლატო > 9350-8950 წლის წინანდელი პერიოდი
- 6 აშიკლი ჰიუკი (Aşikli Höyük), თურქეთი, ცენტრალური ანატოლია > 10200-9500 წლის წინანდელი პერიოდი
- 7 გირიკიჰაცანი (Girikihacyan), თურქეთი, დიარბაქირი > 7800-7350 წლის წინანდელი პერიოდი
- 8 ტელ ასვადი (Tell Aswad), სირია, სამხრეთ-დასავლეთ დამასკო > 10500-9550 წლის წინანდელი პერიოდი
- 9 იერიქონი (Jericho), ქვემო იორდანის ველი > 9900-9550 წლის წინანდელი პერიოდი
- 10 არუხლო, საქართველო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი > 8000-7150 წლის წინანდელი პერიოდი
- 11 იმირის გორა, საქართველო, მარნეულის მუნიციპალიტეტი > 7400-7000 წლის წინანდელი პერიოდი
- 12 ხრამის დიდი გორა, საქართველო, მარნეულის მუნიციპალიტეტი > 8000-7000 წლის წინანდელი პერიოდი
- 13 გადაჭრილი გორა, საქართველო, მარნეულის მუნიციპალიტეტი > 7815-7918 წლის წინანდელი პერიოდი





გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა,
ლუთისა მიერ და არა ჴელოვნებითა კაცთათა. რამეთუ ნაყოფიერებს
ყოველნი თესლ-მარცვალნი, კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, ჴორბალნი,
ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ღობიო, ოსპი,
ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.

მტილოვანთათჳს. მტილთა: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო,
ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა,
სტაფილო, ქინძიჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა,
ყრდელი და სხვანიცა; ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი
სურნელნი საზამთროთ საჭმარნი ბალახნი, მხლად ნოდებულნი, და
თესლნი, ვითარცა: სატაცური, ასპანახი და სხვანი, და ვითარცა
კვლიავი და ტყიურა და მისთანანი მრავალნი.

ვახუშტი ბატონიშვილი

1696-1757

აღწერა სამეფოსა საქართველოსა



(კოლხეთში) კარგი ნაყოფები იცის,..
ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის.
ქვეყნის გარეთაც გააქვთ.

სტრაგონი

ძვ. წ. აღ. 63 – ახ. წ. აღ 23 წ.

გეორგია



მინდვრის კულტურები
და გოუსტნეული



წარმოშობა:

საქართველოს ვინროდ ლოკალიზებული ენდემური სახეობაა. ამ სახეობის ორი ბუნებრივი სახესხვაობაა აღწერილი.

კლასიკა

განვითარების ციკლი:

საგაზაფხულო, თუმცა შემოდგომაზეც ითესებოდა

მცენარის სიმაღლე:
130-140 სმ

ბარტყობა:

8-10 პროდუქტიული ნაბარტყი.



თესვის პერიოდი:
მარტი/აპრილი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისის ბოლო/აგვისტო

თავთუნი (რაოდენობა):
20-25

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

გამოირჩევა მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლეობით.



ხორბალი (Triticum)

ჩელტაჯანდური

Triticum timopheevii (Zhuk.) Zhuk.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიმართ მომთხოვნი არაა. მოდის ნეშომპალა კარბონატულ, მთა-მდელოსა და ხორბლის კულტურისათვის შესაფერის სხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. ჰავა ზომიერად ნოტიო, არახელსაყრელი გარემო პირობების ამტანია.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება:

უძველესი ენდემური სახეობაა. XII საუკუნეში მთელ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. უკანასკნელ საუკუნეებში მისი გავრცელების არეალი იყო რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო და იმერეთი – ზღვის დონიდან 400-800 მ სიმაღლეზე. ითესებოდა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე.

მონხარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მარცვალი ხასიათდება ცილის და ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობით. მის პურს „სამეფო პურს“ უწოდებდნენ და სადღესასწაულოდ / სტუმრებისათვის აცხობდნენ, ასევე იყენებდნენ სხვადასხვა ტრადიციული კერძის დასამზადებლად. არის მონაცემები, რომ ზანდურის მარცვალი რაჭა-ლეჩხუმში გადასახადის ერთგვარ სახედაც გამოიყენებოდა.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

იყენებენ სელექციაში, როგორც მაღალიმუნურ ხორბალს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში – „მარცვლეულის კილობანი“.



თავთუნი:
ფხიანი, მკვრივი, მტვრევადი, შებუსუსული. ფხები 6-9 სმ სიგრძისაა, არ არის უხეში, დაფარულია კბილაკებით. თავთავის ღერაკის ნაწევრები მოკლეა (1-2 მმ).

თავთუნი:
თავთუნის კილი წაგრძელებულია, მაგრამ ყვავილის კილზე მოკლეა. ფორმით ფრთისებურია, კარგად გამოხატული ქედით. ქედი, ჩვეულებრივ, ბოლოვდება არცთუ გრძელი კბილით.

თავთავის სიგრძე 4-8 სმ



მარცვლების რიცხვი
თავთავში: 45-55

1000 მარცვლის მასა: 28-30

მოსავლიანობა (ჰა): 1-1,5

მარცვალი:
მარცვალი წითელი, წაგრძელებული (8 მმ სიგრძის), რქისებრი კონსისტენციის.



წარმოშობა:

საქართველოს უძველესი ენდემური სახეობაა. არსებობს მოსაზრება, რომ მახა წარმოშობილია *T. palaeocolchicum*-ისა და *Ae tauschii*-ის შეჯვარების შედეგად.

ალწერა

განვითარების ციკლი: საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე: 100-120 სმ

ბარტყობა:

8-12 პროდუქტიული ნაბარტყი



თესვის პერიოდი:

სექტემბერი/ოქტომბერი



მოსავლის აღების პერიოდი:

ივლისი/აგვისტო

თავთუნი (რაოდენობა):

18-25

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

სუსტად ავადდება მტკრიანა გუდაფშუტათი, ნაკლებად იმუნურია ჟანგას მიმართ.



სორბალი (Triticum)

მახა

Triticum macha Dekapr. & Menabde



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ: ტყიანი ზოლის ეკოტიპია. ნიადაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, ადვილად ეგუება ლარიბ ნიადაგს და მკაცრ ჰავას.

დაგატეპილი ინფორმაცია:

გავრცელება:

გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმის მთიან ზონაში, 900-1200 მ სიმაღლეზე. ასევე, მცირე რაოდენობით, სვანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში.






მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები: მახას პური დიდად ფასობდა მოსახლეობაში. მახას ფქვილისაგან ცხებოდა თეთრი, მეტად გემრიელი და სურნელოვანი პური, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებდა სირბილეს. სანაქებოდ ითვლებოდა სტუმრისათვის მახას პურის მირთმევა. ასევე მზადდებოდა სხვა ტრადიციული კერძები.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთუნი სოფრძე: ნ. მსმ ზოგჯერ მეტი

-  **მარცვლების რიცხვი**
თავთუნი: 45-55
-  **1000 მარცვლის მასა:** 30-33
-  **მოსავლიანობა (ჰა):** 1-1,5

მარცვალი: ნითელია, მოგრძო, ნახევრად რქისებრი კონსისტენციით, კილეში მჭიდროდ არის ჩამჯდარი. არ ხასიათდება ცვენადობით.



წარმოშობა:

საქართველოს ენდემური ხორბალია. საქართველოში გამოვლენილი და აღწერილია მისი 9 სახესხვაობა.

ალწერა

განვითარების ციკლი: საგაზაფხულო

მცენარის სიმაღლე: 130-135 სმ

ბარტყობა: 6-8 პროდუქტიული ნაბარტყი



თესვის პერიოდი: მარტი/აპრილი



მოსავლის აღების პერიოდი: ივლისი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

გამძლეა ჟანგასა და გუდაფუტას სხვადასხვა ფორმების მიმართ.



ხორბალი (Triticum)

დიკა

Triticum carthlicum Nevski



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ: უხდება მთის ზონის შავმიწა ნიადაგები და გრილი ჰავა.

დაგაშავებითი ინფორმაცია:

გავრცელება: დიკა მთის მინათმოქმედებისათვის მეტად ძვირფასი ხორბალია, რადგან შეგუებულია მთის მკაცრ პირობებს. უძლებს დაბალ ტემპერატურას და მდგრადია დაავადებების მიმართ. მოჰყავდათ იქ, სადაც, მკაცრი პირობების გამო, საშემოდგომო ხორბალი ვერ ხარობდა. დიკის ნათესები, ძირითადად, გავრცელებული იყო – 1000-2000მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. 600-700მ-ის ქვევით დიკის ნათესები აღარ გვხვდებოდა.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები: მარცვალში ცილის შემცველობა მაღალია (15,9-18,8%), ცილა ხასიათდება ლიზინის მაღალი შემცველობით (2,7-2,9%). მისგან აცხობდნენ პურს და ამზადებდნენ ტრადიციულ კერძებს.

სანარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა: ამჟამად ასოციაცია „ელკანას“ მიერ აღდგენილ დიკის თესავს რამდენიმე მეურნე ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, დაახლოებით, 5 ჰა მიწის ფართობზე.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში: დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავი: თეთრია, წითელი ან შავი. ღერაკი ძალიან თხელია, ვიწრო, ელასტიკური, შებუსული. ფხიანია, ფხები სხვადასხვა სიგრძისაა (6-17 სმ) და, ჩვეულებრივ, ნაზი აგებულების.

თავთუნი: რაოდენობა – 16-20. ზოგჯერ ორ- სამ- ან ოთხმარცვლიანი. კილებზე ნამდვილი ფხები ვითარდება.

თავთუნი სიგრძე: 4-8სმ ზოგჯერ – 14-16 სმ



მარცვლების რიცხვი
თავთავში: 50-55

1000 მარცვლის მასა: 30-32

მოსავლიანობა (ჰა): 1,5-1,8

მარცვალი: წაგრძელებული, ოვალური, წითელი, რქისებრი ან ნახევრად რქისებრი. ზურგი დანაოჭებულია და ვერცხლისფერი შეფერვა გადაჰკრავს.



წარმოშობა:

საქართველოს ენდემური სახეობაა.

აღწერა

განვითარების ციკლი:

საგაზაფხულოა, თუმცა შემოდგომითაც შეიძლება თესვა. საკმაოდ საგვიანოა.

მცენარის სიმაღლე:
100-120 სმ

ბარტყობა:
5-6 პროდუქტიული ნაბარტყი



თესვის პერიოდი:

მარტი/აპრილი ან
სექტემბერი/ოქტომბერი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისის ბოლო/აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

მავნებლებ-დაავადებების მიმართ გამძლეობით გამოირჩევა.



ხორბალი (Triticum)

კექსაკლოიდიური ზანდური

სახესხამა: *Triticum zhukovskyi* Menabde & Eritzjan



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ აყენებს. მოდის ნემომპალა კარბონატულ, მთა-მდელოსა და ხორბლის კულტურისათვის შესაფერის სხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. ტენის მოყვარულია, ცუდად იტანს გვალვას.

დაგატეხილი იწვორებასი:

გავრცელება:

გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, ზანდურის ცენოზში მინარევის სახით.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მისი ცალკეული ნათესები საქართველოში არ გვხვდებოდა.



დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავი:
ფხიანია, მკვრივი. ფხები 5-7 სმ სიგრძისაა, არ არის უხეში. თავთავის ლერაკი ნაკლები მტვრევადობით ხასიათდება, ვიდრე *Triticum timopheevii*-ისა.

თავთუნი:
რაოდენობა 18-20. კილი წაგრძელებული, თითქმის ქვედა ყვავილის კილის სიგრძე; მთავარი გვერდითი ძარღვის კბილაკი კარგად არის განვითარებული, თუმცა ქედის კბილაკზე მოკლეა.

თავთავის სიგრძე: 8-10 სმ

მარცვლების რიცხვი
თავთავში: 40-45

1000 მარცვლის მასა: 25-30

მარცვალი:
წითელია, ძნელად ილენება, რქისებრი კონსისტენციის.



წარმოშობა:

საქართველოს ენდემური სახეობაა, აღწერილია მისი ორი სახესხვაობა.

კლასი

განვითარების ციკლი:
საშემოდგომო ან ნახევრად
საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე:
100-120 სმ

ბარტყობა:
5-7 პროდუქტიული
ნაბარტყი



თესვის პერიოდი:
სექტემბერი/ოქტომბერი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისი

თავთუნი (რაოდენობა):

თავთავში თავთუნების რაოდენობა – 34-40. თავთუნის კილი მნიშვნელოვნად მოკლეა ყვავილის კილზე. კილის ქედი კარგად განვითარებულია და, ჩვეულებრივ, ბოლოვდება მოკლე (1-1,5 მმ-მდე) ნამახვილებული კბილაკით. მცირედ მიმართული ყვავილისაკენ. მხარი თითქმის არ აქვს განვითარებული. ფხები ნაზია, მოკლე (4-5 სმ-მდე).

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ჟანგათი სუსტად ავადდება. შედარებით გამძლეა მტვრიანა გუდაფ-შუტას მიმართ.

ხორბალი (Triticum)

კოლხური ასლი

Triticum paleocolchicum Menabde



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ნიდაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, ადვილად ეგუება ღარიბ ნიდაგებს და მკაცრ ჰავას.

დაგასტეპითი ინფორმაცია:

გავრცელება:
უძველეს დროში საკმაოდ გავრცელებული ხორბალი ყოფილა. ნაპოვნია მინარევის სახით ხორბალ მახას ნათესებში – რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში.



მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
მარცვალში ცილის შემცველობა მაღალია (15,9-18,8%), ცილა ხასიათდება ლიზინის მაღალი შემცველობით (2,7-2,9%).

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთი.



თავთავი:
ძალიან მკვრივი, ბრტყელი. ფორმით თითისტარი-სებური. თავთავის ღერაკის ნაწევრები ძალიან მოკლეა (1,5-2მმ), ვიწრო და შებუსული.

თავთავის სიგრძე: 6-10 სმ

-  **მარცვლების რიცხვი**
თავთავში: 45-55
-  **1000 მარცვლის მასა:** 30-35
-  **მოსავლიანობა (ჰა):** 1,5-1,8

მარცვალი:
მოჩაღისფრო-ყვითელია, ელიფსური ფორმის.



წარმოშობა:

კილიანი ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ისტორიულად ეს ხორბალი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, როგორც ცალკე ნათესების სახით, ასევე სხვა ხორბლის ნათესებში მინარევებად. საქართველოში ექვსი ძირითადი სახესხვაობა აღწერილი.

კლერა
განვითარების ციკლი:
საგაზაფხულო

მცენარის სიმაღლე:
90-110 სმ

ბარცობა:
8-10 პროდუქტიული ნაბარცო

თესვის პერიოდი:
მარტი/აპრილი

მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისი/აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
სხვადასხვა დაავადების მიმართ გამძლეობით გამოირჩევა.

ხორბალი (Triticum)

გვანა ზანდური

Triticum monococcum L.

ნიარამი ☀ კლიმატი 🌊 წყალი

მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ აყენებს. მოდის ხორბლის კულტურისათვის შესაფერის ნიადაგურ-კლიმატური პირობებში.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება:
მისი ნათესები გვხვდებოდა ქართლში (სამაჩაბლოში) და რაჭა-ლეჩხუმში. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ეს სახეობა დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, ჩელტა ზანდურთან იყო შერეული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ იშვიათ მინარევად გვხვდებოდა ხორბლის ნათესებში.



მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
მარცვალი ხასიათდება ცილისა და კაროტინის მაღალი შემცველობით. მისგან ამზადებდნენ ტრადიციულ კერძებს, მაღალი ჩალა კი გამოიყენებოდა სახლების გადასახურად.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავის სიგრძე: 6-8 სმ

თავთავი:
თავთავი ბრტყელია, მკვრივი. თავთავის ლერაკი მტვრევადაა, ფხები გრძელია.

თავთუნი:
თავთუნების რაოდენობა – 15-20. თავთუნი მოგრძო-ოვალურია, შებუსუსული ან პრილა.

მარცვლების რიცხვი
თავთავში: 25-30

1000 მარცვლის მასა: 20-25

მოსავლიანობა (ჰა): 0,5-0,8

მარცვალი:
მარცვალი ვინროა, წითელი, მინისებრი კონსისტენციის.



წარმოშობა:

არის ორგვარი – ევროპული და აზიური წარმოშობის, ამ ორ სახესხვაობას სხვადასხვა წარმოშობა აქვს. სპელტას უძველესი, ნეოლითის დროინდელი ნიმუში ნაპოვნია საქართველოში, არუხლოსა და ხრამის დიდი გორის მიდამოებში.

კლწერა

განვითარების ციკლი:
ნახევრად საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე:
მაღალი

ბარტყობა:
საშუალო ან მაღალი



თესვის პერიოდი:
ოქტომბერი/ნოემბერი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისის მეორე ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

მცენარე საშუალოდ ავადდება ყვითელი და მურა ჟანგათი. გამძლეა მტკვრიანა გუდაფშუტას მიმართ.



სორბალი (Triticum)

სპელტა

Triticum spelta L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ყინვა და გვალვამძლეა, განსაკუთრებით კარგად იტანს გვალვას.

დამატებითი ინფორმაცია:

აღმონაცენი შებუსუსულია, მკვეთრი მწვანე, მწვანე ან იისფერია. ბუჩქი სწორმდგომი, ან ნახევრად სწორმდგომია. ღერო ამოვსებულია პარენქიმით და იზრდება 155 სმ-მდე. ფოთლები მწვანე ან მუქი მწვანეა. ღერო მსგავსია მახასი ან ასლის.

გავრცელება:
გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 800-1000 მეტრამდე.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
ახასიათებს ცილის მაღალი შემცველობა (18.3-24.8%).

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
ხასიათდება ფქვილისა და პურის მაღალი გამოსავლიანობით.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წინის საკოლექციო ნაკვეთში.

თავთავი:
თავთავი უხეში, წვრილი, ფაშარი, მტკვრეადაი.

თავთუნი:
თავთუნი 12-24 თავთუნი. ღერაკი განიერი, ბოლოებში შებუსუსული.



თავთავის სიგრძე: 6-20 სმ



მარცვლების რიცხვი
თავთავში: 25-27

1000 მარცვლის მასა: 35-45

მოსავლიანობა (ჰა): 1,5-2,2

მარცვალი:
მარცვალი მსხვილი, ნითელი, რქისებრი ან ნახევრად რქისებრი, ძნელად გამოსალენი.



წარმოშობა:

თავთუხი ხორბლის ტეტრაპლოიდური სახეობაა, რომელიც მაგარი ხორბლის სახელითაა ცნობილი. მისი წარმოშობის კერად წინა აზია ითვლება. ისტორიულად, რბილ ხორბალთან და დიკასთან ერთად, ხორბლის სახეობათა შორის გავრცელებით თავთუხი საქართველოში მესამე ადგილზე იყო.

კლესრა

განვითარების ციკლი:

საშემოდგომო, ნახევრად საშემოდგომო ან საგაზაფხულო.

მცენარის სიმაღლე:
90-170 სმ

ბარტყობა:
საშუალო ან სუსტი



თესვის პერიოდი:

ოქტომბერი ან თებერვალი/მარტი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისის მეორე ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
გამძლეა სხვადასხვა დაავადების მიმართ.



ხორბალი (Triticum)

თავთუხი

Triticum durum Desf.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
გავრცელებული იყო 600-800 მეტრზე. ადვილად იტანს გვალვას.

დაგაბებითი ინფორმაცია:

კარგ შედეგს იძლევა დოლის პურთან შეთესვით.

გავრცელება:
ძირითადად, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში იყო გავრცელებული.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
რბილი ხორბლისა და თავთუხის შერევით მიღებული ფქვილი ხასიათდება მაღალი პურცხოვით. მაგარი ხორბლისგან მზადდება ისეთი ტრადიციული პროდუქტები, რომელთაც არ სჭირდება აფუება – მაგ., ატრია.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
გამოირჩევა მაღალი ცილიანობით. ამჟამად საქართველოში საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთუხის სოკრძე: 5-13 სმ

თავთავი:
მეჩხერი ან მკვრივი.

თავთუნი:
თავთუნები მრავალ ან მცირემარცვლიანია. თავთუნის გარეთა კილი ყოველთვის ატარებს ფხას (10-12 სმ-მდე). ფხები უხეშია, ზოგჯერ მომნიფების პერიოდში ცვივა.

მარცვლების რიცხვი
თავთავში: 23-34

1000 მარცვლის მასა: 37-44

მოსავლიანობა (ჰა): 2,5-3,5

მარცვალი:
მარცვალი 7-8 მმ სიგრძისაა. წითელი ან თეთრია, ოვალური ან მოგრძო-ოვალური, რქისებრი ან ნახევრად რქისებრი.



წარმოშობა:

დასავლეთ საქართველოს რბილი ხორბლის ადგილობრივი ჯიშია (ლენდრასაა). რბილი ხორბალი მსოფლიოსა და საქართველოში ხორბლის ყველაზე გავრცელებული სახეობაა, მას „პურის ხორბალსაც“ უწოდებენ. მისი წარმოშობის კერად წინა აზია ითვლება.

აღწერა

განვითარების ციკლი:
საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე:
მაღალი

ბარტყობა:
საშუალო



თესვის პერიოდი:
ოქტომბერი/ნოემბერი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისის მეორე ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

გამძლეა ყვითელი ჟანგას მიმართ. გვიან პერიოდში გამოვლენილი სოკოვანი დაავადებები დიდ გავლენას ვერ ახდენს მოსავალზე.



ხორბალი (Triticum)

კორპოვულის დოღის კური

სახმსპეობა: *Triticum aestivum* L. var. *erythrospermum*



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
უხდება ტენიანი კლიმატურ-ნიადაგური პირობები.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გამძლეა ჩანოლისადმი.

გავრცელება:
ძირითადად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიან ზონაში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
დასავლეთ საქართველოს პირობებს კარგად შეგუებული და მაღალმოსავლიანი ჯიშია.



საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
დაფქვის მაღალი და პურცხობის საშუალო თვისებით ხასიათდება (16.1% ცილა). ამჟამად საქართველოში საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.



თავთავი:
თავთავი მსხვილია, თითისტარისმაგვარი ან ცილინდრული, საშუალო სიმკვრივის.

თავთუნი:
თავთუნი მრავალყვავილიანი და მრავალმარცვლოვანია. თავთუნის კილი ოვალურია, მოკვეთილი მხარით; კილის კბილაკი გრძელია, ნაწვეტებული, ხშირად ფხისმაგვარი. ფხები არ არის უხეში, საშუალო სიგრძისა და გადაშლილი.

მარცვლების რიცხვი
თავთავში: 23-35

1000 მარცვლის მასა: 40-45

მოსავლიანობა (ჰა): 3,2-3,5

მარცვალი:
მარცვალი მოგრძო-ოვალური ფორმის, მონითალო, მსხვილი, რქისებრი.



წარმოშობა:

დასავლეთ საქართველოს რბილი ხორბლის ადგილობრივი ჯიშია (ლენდრასაა). რბილი ხორბალი მსოფლიოსა და საქართველოში ხორბლის ყველაზე გავრცელებული სახეობაა, მას „პურის ხორბალსაც“ უწოდებენ. მისი წარმოშობის კერად წინა აზია ითვლება.

კლწერა
განვითარების ციკლი:
საგაზაფხულო

მცენარის სიმაღლე:
მაღალი

ბარტყობა:
საშუალო



თესვის პერიოდი:
თებერვალი/მარტი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისი/აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
ნაკლებად ავადდება სოკოვანი დაავადებებით და ადვილად იტანს ჭარბ ტენს.

ხორბალი (Triticum)

სულგო

სახესპაობა: *Triticum aestivum* L. var. *lutescens*

☰ ნიადაგი ☀ კლიმატი 🌊 წყალი

მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ხასიათდება შედარებით სუსტი ყინვა - და გვალვაგამძლეობით.



დაგაბეჭდილი ინფორმაცია:

ფქვილისა და პურის გამოსავლიანობა საშუალოა.

გავრცელება:
ძირითადად, გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, მაგრამ გვხვდებოდა, აგრეთვე, იმერეთსა (საჩხერე, ჭიათურა) და სვანეთში.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
ახსიათებს ცილის მაღალი შემცველობა (15.9%). გამოირჩევა ჩანოლისადმი გამძლეობით. ამჟამად საქართველოში საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში.



თავთავი:
თავთავი თეთრია, უფხო.

თავთუნი:
თავთუნი ფართოა, მრავალმარცვლიანია. თავთუნის კილი მსხლისებრია, ფართოდ მოკვეთილი ან სწორი მხარით.

თავთავის სიგრძე: 6-7 სმ

მარცვალი:
მარცვალი ოვალური ან მომრგვალოა, მსხვილი, ნახევრად რქისებრი, მონითალო.

1000 მარცვლის მასა: 43-52

მოსავლიანობა (ჰა): 2,7-3,8



წარმოშობა:

რბილი ხორბლის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ჯიშის.

კლასიკა

განვითარების ციკლი: ნახევრად საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე: მაღალი

ბარტყობა: საშუალო



თესვის პერიოდი: ოქტომბერი/ნოემბერი



მოსავლის აღების პერიოდი: ივლისის მეორე ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

დაავადებებისა და მავნებლებისადმი ნაკლებად გამძლეა. გვიან გამოვლენილი სოკოვანი დაავადებები მოსავალზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.



ხორბალი (Triticum)

თეთრი იფქლი

სახესპაობა: *Triticum aestivum* L. var. *erythrospermum*



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ: უხდება ტენიანი ჰავა და ნიადაგი.

დაგატეხილი იფქობისთვის:

ახასიათებს მაღალი შეფოთვლა. მიდრეკილია ჩანოლისადმი.



გავრცელება:

ძირითადად, გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, მაგრამ გვხვდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა მთიან ზონებშიც.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები: დაფქვის მაღალი და პურცხობის საშუალო თვისებით ხასიათდება.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

დასავლეთ საქართველოსთვის კარგად შეგუებული და მაღალმოსავლიანი ჯიშია. ამჟამად საქართველოში საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავის სიგრძე: 6-8 სმ

თავთავი: თავთავი თითისტარისმაგვარი ან ცილინდრულია, ფარჩხატიანი ან საშუალო სიმკვრივისა. მრავალთავთუნიანია.

თავთუნი: თავთუნი მრავალყვავილიანი და მრავალმარცვლოვანია. თავთუნის კილი ოვალურია, მოკვეთილი მხარით, თავთუნის კილის კბილაკი გრძელია, წაწვეტებული, ხშირად ფხისმაგვარი. ფხები არ არის უხეში, საშუალო სიგრძისაა და გადაშლილია.

მარცვლების რიცხვი
თავთავში: 28-37

1000 მარცვლის მასა: 40-50

მოსავლიანობა (ჰა): 3.2-3.8

მარცვალი: მარცვალი ოვალური ფორმისაა, მსხვილი, ნახევრად რქისებრი კონსისტენციის.



წარმოშობა:

რბილი ხორბლის მესხური ადგილობრივი ძველი ჯიმი.

კლასიკა

განვითარების ციკლი: საშემოდგომო

მცენარის სიმაღლე: 135-145 სმ

ბარტყობა: მაღალი



თესვის პერიოდი: ოქტომბერი



მოსავლის აღების პერიოდი: ივლისი/აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ადვილად ავადდება ყვითელი და მურა ჟანგათი.



ხორბალი (Triticum)

ახალციხის (მესხური) წითელი დოლის კური

სახმსხამობა: *Triticum aestivum* L. var. *ferrugineum*



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ: ყინვა- და გვალვამძლეა. ადვილად ეგუება განსხვავებულ პირობებს.

დაგაბეებითი ინფორმაცია:

საუკეთესო ჯიშ-ტესტერია ნეკროზისა და ქლოროზის გენების გამოსავლენად.

გავრცელება:

გავრცელებული იყო მესხეთ-ჯავახეთის ზონაში ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე. დღეისათვის ჯიშზე დიდი მოთხოვნაა და ითესება ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში.

მოსხარება და ნუტრიციული მახასიათებლები: გამოირჩევა მარცვალში ცილის მაღალი შემცველობით (18.8%).

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ხასიათდება ფქვილის და პურის მაღალი გამოსავლიანობით.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წინის საკოლექციო ნაკვეთში. ახალციხის წითელ დოლს ფერმერები, დაახლოებით, 35 ჰა-ზე თესავენ ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში.



თავიდან სიგრძე: 11.0-14.5 სმ

მარცვლების რიცხვი
თავთაში: 25-27

1000 მარცვლის მასა: 35-45.5

მოსავლიანობა (ჰა): 2,5-3,2/4,0-4,5

თავთავი: მსხვილი, ფაშარი.

თავთუნი: თავთავში 18-23 თავთუნი.

მარცვალი: მარცვალი მსხვილი, რქისებრი.



წარმოშობა:

ქერი საქართველოს უძველესი კულტურაა. პალეოეთნობოტანიკური მონაცემებით, მისი გავრცელება ნეოლითის ხანიდან დასტურდება. როგორც წესი, ქერი ხორბალთან ერთად ითესებოდა. შიშველი ქერი ითესებოდა საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავე).

აღწერა

განვითარების ციკლი:

საგაზაფხულო. სავეგეტაციო პერიოდი მერყეობს 55-90 დღემდე – საადრეოა.

მცენარის სიმაღლე:

საშუალო სიმაღლის (90-100 სმ)

ბარტყობა:

დაბალი



თესვის პერიოდი:

თებერვალი/მარტი



მოსავლის აღების პერიოდი:

ივნისის ბოლო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ადვილად ავადდება ყვითელი და მურა ჟანგათი.

ქერი (Hordeum)

ქერშველი

სახესხამობა: *Hordeum vulgare L. var. nudum*



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

გვალვამძლეა. ზომიერად მომთხოვნია სითბოსა და ნიადაგის მიმართ.

დაგაბეჭდითი ინფორმაცია:

გავრცელება:

გავრცელებული იყო საქართველოს მთიან ზონაში ზღვის დონიდან 2500 მეტრამდე.

მოხმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მარცვალი გამოირჩევა ცილის საკმაო ოდენობით. პურის ცხობისას მთაში ქერშველს დიკას ფქვილში ურევდნენ, იყენებდნენ ლუდისა და არყის დასამზადებლად, საფურაჟედ. სვანეთში ქერის ფქვილს ხალავდნენ და ურევდნენ მანონსა და ყველს, ასე მზადდებოდა დიეტური კერძები – „ცარი“ და „ლემბრი“.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ამჟამად საქართველოში საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავის სიგრძე: 10-12 სმ



რიცხვი თავთავში: 21-25



1000 მარცვლის მასა: 35.0-45.5



მოსავლიანობა (ჰა): 2-4

მარცვალი:

მარცვალი მსხვილი, უკილო, შიშველი, ღია ჩალისფერი.



წარმოშობა:

ჭვავი შედარებით ახალი კულტურაა, რომლის წარმოშობის კერად წინა აზია (მ. შ. კავკასია) მიიჩნევა. საქართველოში ჭვავის რამდენიმე ველური მონათესავე სახეობაა გავრცელებული.

კლწურა

განვითარების ციკლი:
270-200 დღე
(საშემოდგომო ჭვავი)

მცენარის სიმაღლე:
მაღალი – 100-180 სმ
ღერო წვრილია, ჩანოლა არ ახასიათებს.



თესვის პერიოდი:
სექტემბერი



მოსავლის აღების პერიოდი:
აგვისტო/სექტემბერი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ნაკლებად ავადდება სოკოვანი დაავადებებით, თუმცა აზიანებს პარაზიტი სოკო – „ჭვავის რქა“.



ჭვავი (Secale cereale)

ჭვავი

Secale cereale L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
კარგად ეგუება მაღალი მთის პირობებს, სიცივისა და გვალვის ამტანია. მოდის ყველანაირ ნიადაგზე.

დაგატეპილი ინფორმაცია:

გავრცელება:
როგორც წესი, ხორბალთან ერთად ითესებოდა მთასა და მთისწინეთში (რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში, სამცხე-ჯავახეთში) ზღვის დონიდან 900-1400 მეტრზე.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
ჭვავის პური საკმაოდ ყუათიანი და არომატულია, რაც მარცვალში ე.წ. სურნელოვანი ცილების შემცველობით არის განპირობებული. ტრადიციულად, ჭვავისაგან ამზადებდნენ სარიტუალო გულსართიან კვებებს, მის ნახარშს იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში. კარგი საფურაჟე კულტურაა.

სანარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
ამჟამად საქართველოში სანარმო მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
ჭვავის ნათესები ბოლო დრომდე მცირე რაოდენობით იყო შემორჩენილი სვანეთსა და ხევსურეთში. ისტორიულად ფართოდ ითესებოდა სამცხე-ჯავახეთში. გენეტიკური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



თავთავი:
მკვრივი.

თავთუნი:
თავთუნის კილი ვინროა.

თავთავის სიგრძე: 6-10 სმ

მოსავლიანობა (ჰა): მაღალი

მარცვალი:
გრძელი, ვიწრო ღრმა ლარით. გარეთა ზედაპირი გლუვი ან ნაოჭიანი.



წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიშია.

კლასიკა

სავეგეტაციო პერიოდი:
70-90 დღე

მცენარის სიმაღლე:
30-50 სმ

ყვავილედი:
ივითარებს კოლოფების დიდ რაოდენობას – 35-50 ცალი, ზოგჯერ 100 და მეტი.



თესვის პერიოდი:
აპრილი/მაისი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისი/აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
საშუალო



სელი (*Linium*)

საზეთო სელი

Linium usitatissimum L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
მოყვანა შესაძლებელია საქართველოს თითქმის ყველა კლიმატურ-ნიადაგურ პირობებში. კარგად ეგუება სუსტ მჟავე ნიადაგებს. ვერ იტანს ძლიერ მჟავე, აგრეთვე ტუტე რეაქციის, კირით მდიდარ მიწას.

დამატებითი ინფორმაცია:

ადრე დათესილი სელი კარგად იტანს ტენს და სწრაფად იზრდება.

გავრცელება:

ითესებოდა მთელ საქართველოში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

სელის ამ ჯიშისგან ხდინენ ზეთს, რომელიც სასურსათედ გამოიყენებოდა, ნარჩენი – კოპტონი გამოიყენებოდა პირუტყვის საკვებად. სელის მარცვლებსა და ზეთს მოიხმარენ ზოგიერთი დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

სელის ზეთი ადვილად შრება, ამიტომ მას ფართო გამოყენება აქვს მაღალხარისხოვანი საღებავების, ლაქების, საპნის და სხვა სახის მასალების წარმოებაში. ამჟამად საქართველოში მცირე რაოდენობით იწარმოება.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



G 1000 მარცვლის მასა: 4-6

T მოსავლიანობა (ჰა): 1-2,2

მარცვალი:
თესლი შედარებით მსხვილია, თესლში ზეთის შემცველობა 38-45%-ია.



წარმოშობა:

ხალხური სელექციის შედეგად მიღებული ჯიშია, რომლის საწყისი მასალა ადგილობრივი მინდვრის სარეველა ბარდაა.

აღწერა

სავეგეტაციო პერიოდი:

სავეგეტაციო პერიოდი საშუალოა, დაახლოებით 110-120 დღე.

მცენარის სიმაღლე:

40-160 სმ-მდე; მუხლთაშორისების რაოდენობაა 28-35.

ყვავილი:

ყვავილი მოვარდისფრო-ლურჯია ან იასამნისფერი.



თესვის პერიოდი:
მარტი



მოსავლის აღების პერიოდი:
აგვისტო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

სოკოვანი დაავადებების მიმართ ძლიერ გამძლეა.



ბარდა (*Pisum sativum*)

ახალქალაქის ადგილობრივი

ქვესახეობა: *Pisum sativum* L. subsp. *transcausicum* Govorov



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

გვალვამტანია, წყალს ზომიერად მოიხმარს. ვერ ხარობს გრუნტის წყლების ახლოს. ნიადაგის მიმართ მოთხოვნი არ არის.

დაგატავილი ინფორმაცია:

პალეობოტანიკური მონაცემებით, ბარდა ერთ-ერთი ყველაზე ძველი კულტურაა საქართველოსთვის.

გავრცელება:

ჯიში დღესაც ითესება ჯავახეთის ზეგანზე.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

ძირითადად, ცხოველთა საკვებად გამოიყენება, მდიდარია ვიტამინებით (A, B1, B2, C, PP), კაროტინით, კალიუმით, კალციუმით, ფოსფორითა და რკინით.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

კარგი სიდერატი და წინამორბედი კულტურაა, მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგში ტოვებს დიდი რაოდენობით აზოტოვან ნივთიერებებს. ამჟამად საქართველოში, ფაქტობრივად, აღარ იწარმოება.

დღევანდელი მდგომარეობა:

დაცულია აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში. საზღვარგარეთ დაცულია რუსეთის ნ. ვავილოვის სახელობის მემცენარეობის კვლევით ინსტიტუტში (VIR).



პარკი:
პარკი ვინროა. ნედლი პარკი მუქი მწვანეა, სიმწიფისას ჩალისფერ შეფერილობას იღებს, ადვილად იფშვება, თუმცა ცვენადობა არ ახასიათებს. პარკში 7-8 თესლია.

პარკის სიგრძე: 6-7 სმ



მარცვალი:
თესლი მრგვალია ან დაკუთხულ-მომრგვალო ფორმის, მოყვითალო-რუხი, მომწვანო, დაფარულია მოლურჯო-იისფერი ნიწკლებითა და ლაქებით, ჭიპი შავია.

G 1000 მარცვლის მასა: 80-120

T მოსავლიანობა (ჰა): 1,5-1,7



წარმოშობა:

სვანეთში აღწერილი ადგილობრივი ძველი ჯიშია.

ალწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
სავეგეტაციო პერიოდი
160-170 დღეა.

მცენარის სიმაღლე:

მცენარე სწორმდგომია, 25-30 სმ სიმაღლის, ღეროს მოლურჯო შეფერილობა დაჰკრავს, ფოთლები მცირე ზომისაა, ელიფსური.

ყვავილი:

ყვავილი მომცრო ზომის, მოთეთრო იისფერია.



თესვის პერიოდი:
მარტი



მოსავლის აღების პერიოდი:
ზაფხულის ბოლო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
თითქმის არ ზიანდება მემარცვლიებისაგან.



ოსპი (*Lens culinaris*)

ქართული ოსპი

Lens culinaris Medik.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

არ არის მომთხოვნი წყლისა და ნიადაგის მიმართ. ახასიათებს მაღალი გვალვა- და ყინვაგამძლეობა.

დაგატავილი ინფორმაცია:

პალეობოტანიკური მონაცემებით, ოსპი ერთ-ერთი ყველაზე ძველი კულტურაა საქართველოში.

გავრცელება:

გავრცელებული იყო, ძირითადად, ზემო სვანეთში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მდიდარია სხვადასხვა მინერალებით, ანტიოქსიდანტებითა და ცილებით (ცილის შემცველობა – 25%). ოსპისგან ამზადებდნენ სხვადასხვა ტრადიციულ კერძს, მათ შორის – ოსპის შეჭამანდს.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

გარდა სასურსათო დანიშნულებისა, როგორც ყველა პარკოსან კულტურას, აქვს დიდი აგროტექნიკური მნიშვნელობაც. ოსპის ფესვებზე სახლდებიან კოჟრის ბაქტერიები, რომელთა მეშვეობით ხდება აზოტის ფიქსაცია ნიადაგში. ამჟამად საქართველოში მცირე რაოდენობით იწარმოება.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



პარკი:
პარკი მუქი მწვანეა, ნაწვეტებულია 1-2 მარცვლით, სიმწიფისას ჩალისფერი ხდება. პარკს სკდომა და მარცვლის ცვენა ნაკლებად ახასიათებს.

პარკის სიგრძე: 1,5-2 სმ

G 1000 მარცვლის მასა: 40-50

T მოსავლიანობა (ჰა): 1,5

მარცვალი:
ბრტყელია, მცირე ზომის, მომწვანო მონაცრისფრო, ზოგჯერ მუქი წინწკლებით.



წარმოშობა:

დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ჯიშია.

კლასიკა

სავეგეტაციო პერიოდი:

საშუალო ვეგეტაციის ჯიშია, ადრე გაზაფხულზე დათესილ მცენარეს ყვავილობამდე 27-30 დღე სჭირდება, ბარში ყვავილობა გაზანაგრძლივებული აქვს – 30-40 დღე, სრულ სიმწიფეს 100-105 დღეში აღწევს.

მცენარის სიმაღლე:

მცენარე სწორმდგომია, სიმაღლით 35-70 სმ-მდე.

ყვავილი:

ყვავილი თეთრი ფერისაა, ფრთებზე ყავისფერი ლაქებით.



თესვის პერიოდი:

დასავლეთ საქართველოს ბარში ითესება შემოდგომით, აღმოსავლეთ საქართველოში – ადრე გაზაფხულზე.



მოსავლის აღების პერიოდი:

მოსავალს დასავლეთ საქართველოში მაისში, აღმოსავლეთში კი – ზაფხულის დასაწყისში იღებენ.

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ზიანდება ბუგრებით და სოკოვანი დაავადებებით.

ცერცვი (Vicia faba)

ბაკლა, იგივე მსხვილი ცერცვი

სახმსპაშობა: *Vicia faba* var. *major* Beck. f. *macrosperma* Murat.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

კარგად იტანს დაჩრდილვას, ადრე გაზაფხულის სუსხს, ყვავილობის პერიოდში მეტად მოითხოვს წყალს.

დაამატებითი ინფორმაცია:

გადამწიფებისას ხშირია პარკების მცირედ სკდომა და მარცვლის ცვენადობა.

გავრცელება:

ძირითადად, გავრცელებული იყო იმერეთისა და ქართლის დაბლობ ადგილებში, აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

ბაკლა ცერცვი შეუცვლელი სამარხვო კულტურა იყო. იყენებდნენ სხვადასხვა რიტუალის დროს, ასევე სამკურნალოდაც. რაჭა-ლეჩხუმში კეთდებოდა ცერცვიანი ტაბლა – ოჯახისა და ხარების დასალოცად. მარიამობის მარხვის დაწყების დღეს აცხობდნენ „ცერცვიან სართვიანებს“ (პური ცერცვის გულსართით). სვანეთში „საკვირაო ტაბლა“ აუცილებლად ცერცვიანი (ცერცვისგულიანი) უნდა ყოფილიყო. შესალოც კვერებს სვანურად „როგვა ლეზირს“ უწოდებდნენ. „როგვ“ – სვანურად ცერცვს ნიშნავს.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

სასურსათე დანიშნულებისაა, ითესებოდა მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე. დღეისათვის ფრაგმენტულად გვხვდება ბალ-ბოსტნებში.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



პარკი: პარკი დიდი ზომისაა, ძალზე გაწიერი, ღია მწვანე შეფერვის, სიმწიფისას მთლიანად შავდება. პარკში 2-3 მარცვალია.

პარკის სიგრძე: 10-12 სმ



მარცვალი: თესლი დიდი ზომისაა, ბრტყელი, შუაში ჩაზნექილი, მომწვანო-მოვარდისფერი. ჭიპი შავად შეფერილია.

1000 მარცვლის მასა: 1050-1220

მოსავლიანობა (ჰა): 1,0-1,2





წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიშია.

კლწურა

სავეგეტაციო პერიოდი:

100-110 დღე

მცენარის სიმაღლე:

ღერო ნახევრადხვიარაა, სიგრძით 150 სმ, მუქი მწვანე ფოთლებით, კარგად ეტყობა დაძარღვა.

ყვავილი:

ყვავილი საშუალო ზომისაა, ღია იისფერი.



თესვის პერიოდი:

აპრილი



მოსავლის აღების პერიოდი:

ივლისი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ნაკლებად აზიანებს მემარცვლია.

სინონიმები:

- იმერეთი მამა ლობიო
- სამეგრელო დიხაშ ლებია
- კახეთი შაკუჭა ლობიო



ქაქა (*Vigna unguiculata*)

შაკუჭა

Vigna unguiculata (L.) Walp.



ნიადაგი



კლიმატი



წყალი

მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

სითბოს მოყვარულია, ცუდად რეაგირებს ადრე გაზაფხულის სუსხიან დღეებზე, ამიტომ ითესება მაშინ, როცა ნიადაგის ტემპერატურა 10-15 გრადუსს მიაღწევს. მეტ წყალს მოიხმარს ყვავილობის პერიოდში. ნიადაგისადმი მომთხოვნი არ არის, თუმცა ღარიბ ნიადაგებზე მცირე მოსავალს იძლევა.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება:

გავრცელებულია კახეთსა და ქართლში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მარცვალი ძნელად იხარშება, ამიტომ წინა დღეს წყალში ალბობენ და შემდეგ ხარშავენ. კაზმავენ ხახვით, მწვანილითა და ზეთით. ამზადებენ შეჭამანდსაც.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

მარცვალი სასურსათე დანიშნულებისაა, მისი ნედლი პარკები გამოიყენება საკონსერვოდ. ითესება როგორც ცალკე, ისე სიმინდთან შეთესილი. ახასიათებს პარკის სკდომა და ცვენადობა. ამჟამად საქართველოში მცირე რაოდენობით იწარმოება.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



პარკი:
სწორი, ვიწრო, მუქი შეფერვის. პარკში 8-10-მდე მარცვალია.

პარკის სიგრძე: 10-12 სმ



მარცვალი:
საშუალო ზომისაა, თეთრია, შავი ჭიპითა და ნაოჭიანი ზედაპირით, თირკმლისებურად ოდნავ მოხრილი.



1000 მარცვლის მასა: 320-350



მოსავლიანობა (ჰა): 1,0-1,2



წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიშია.

ალწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
80-110 დღე

მცენარის სიმაღლე:

ღერო ნახნაგოვანია, უხვად
შეფოთილი.
სიმაღლე – 0,25-1 მ

ყვავილი:

მოთეთრო-მოცისფროა



თესვის პერიოდი:
აპრილი



მოსავლის აღების პერიოდი:
ივლისი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

გამოირჩევა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლეობით.



ხულისპირა (*Lathyrus sativus*)

ხულისპირა

Lathyrus sativus L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ნიდაგური პირობების მიმართ ნაკლებ მომთხოვნი და ყინვაგამძლეა.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება:

გავრცელებული იყო უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში, ზღვის დონიდან 500-800 მ სიმაღლიდან, რაჭაში – 800-1200 მეტრზე ზევითაც. რაჭაში 30-მდე ფორმა არის აღწერილი.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

შეიცავს 31.6 % ცილას, 2,7 % ცხიმს, რითაც სჯობნის ყველა პარკოსან კულტურას. მწვანე მასა საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის. ამზადებდნენ სხვადასხვა ტრადიციულ კერძს, მათ შორის რაჭაში დღევანდელი ლობიანის წინაპარს – „ცულისპირეულს“.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ამჟამად საქართველოში მცირე რაოდენობით ითესება სამცხე-ჯავახეთსა და რაჭაში.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



პარკი:
ცულის პირის ფორმისაა, 6-8 თესლით.

პარკის სიგრძე 2,5-3,5 სმ

მარცვალი:
მარცვალი თეთრი, მომწვანო, ან რუხი-ყავისფერია. მარცვლის ზედაპირი გლუვი, ან სუსტად დანაოჭებულია. მარცვლის ფორმა წამახვილებულია.

მოსავლიანობა (ჰა): 2-4



წარმოშობა:

ადგილობრივი ძველი ჯიში.

კულტურა

სავეგეტაციო პერიოდი:

საადრეო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 115-120 დღეა.

მცენარის სიმაღლე:

მცენარე ნახევრად სწორმდგომია, 45-50 სმ სიმაღლის.

ყვავილი:

ყვავილი თეთრია



თესვის პერიოდი:

შემოდგომა/გაზაფხული



მოსავლის აღების პერიოდი:

ზაფხული

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ავადდება სოკოვანი დაავადებებით: ასკოხითოზითა და ფუზარიოზით. აზიანებს ჩრჩილიც.



გუსუღო (Cicer arietinum)

ჩიტისთავა

Cicer arietinum L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

საჭიროებს კარგად გაფხვიერებულ ნიადაგს. გამოირჩევა ყინვაგამძლეობით. არ არის მომთხოვნი ტენის მიმართ, ადვილად იტანს გვალვას.

დაგატავილი ინფორმაცია:

გავრცელება:

გავრცელებული იყო, ძირითადად, რაჭაში, გასული საუკუნის 50-იან წლებამდე.



მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები: გამოიყენებოდა სასურსათედ, ძირითადად, მარხვის პერიოდში. ამზადებდნენ შეჭამანდს, ფაფას. მოხარშულ მარცვლებს კაზმავდნენ ნიგვზით. აცხობდნენ ტკბილ ნამცხვარს.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ითესება ფრაგმენტულად საკარმიდამო ნაკვეთებზე, მათ შორის სამცხე-ჯავახეთში.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრონომიული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.

პარკი: განიერია, 2 მარცვლით. პარკს ისხამს ლეროს ზედა ნაწილზე. ერთი მცენარე 12-15 პარკს ივითარებს.



პარკის სიგრძე: 2 სმ.



მარცვალი:

თესლი წვრილია, თითქმის სფერული, მოხრილი ნისკარტით; ჩიტის თავის ფორმა აქვს, აქედან მომდინარეობს მისი სახელიც. მარცვალი თეთრია.

G 1000 მარცვლის მასა: 170-200

T მოსავლიანობა (ჰა): 2,0-2,2



წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიში.

ალწერა

სავეგეტაციო პერიოდი:

85-110 დღე

მცენარის სიმაღლე:

ნახევრად ხვიარა ტიპისაა, მცენარის სიმაღლე 150-200 სმ. ფოთოლი კვერცხისებური ფორმისაა. ადვილად იტანს დაჩრდილვას.

ყვავილი:

ყვავილი თეთრია



თესვის პერიოდი:

აპრილი



მოსავლის აღების პერიოდი:

ივნისი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

გამძლეა ანთრაქნოზისა და ჟანგას მიმართ, ავადდება ნაცრით. აზიანებენ მემარცვლიები.



ლოგიო (Phaseolus vulgaris)

მინდვრის წითელი

Phaseolus vulgaris L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ვერ ეგუება მძიმე, ბიციბ და ძალიან მჟავა ნიადაგებს. სითბოსა და ტენის მოყვარულია, განსაკუთრებით, ყვავილობისას.

დამატებითი ინფორმაცია:

ძირითადად, სიმინდთან შეთესილი მოჰყავთ, ამიტომ „სიმინდის ლობიოსაც“ უწოდებენ.



გავრცელება:

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, უფრო მეტად მთისწინებში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

მარცვალს იყენებენ სასურსათედ და მისგან მზადდება მრავალი ტრადიციული, სხვადასხვაგვარად შეკმაზული კერძი. პარკი უხეშია, ამიტომ სასურსათედ არ გამოიყენება.

სანარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

სამარცვლე მიმართულებისაა, მაღალი ღირსების მარცვლით, რომელსაც სწრაფი ხარშვის უნარი აქვს. ფართოდ ითესება საქართველოს საოჯახო მეურნეობებში.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.



პარკის სიგრძე: 7-10 სმ



პარკი:

ცილინდრული ფორმის. დაუმწიფებელი პარკი მწვანეა, მომწიფების შემდეგ იღებს მოვარდისფრო, ნითელად აჭრელებულ ფერს. პარკში თესლის რაოდენობა – 5-7.



1000 მარცვლის მასა: 280-320



მოსავლიანობა (ჰა): 1,2-1,5

მარცვალი:

თესლი ელიფსური ფორმისაა, ნითელი ფერის.



წარმოშობა:

უძველესი ადგილობრივი ჯიშია.

აღწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
70-80 დღე. საადრეოა, მოკლე
სავეგეტაციო პერიოდის.

მცენარის სიმაღლე:
100-130 სმ



თესვის პერიოდი:
მაისი/ივნისი



მოსავლის აღების პერიოდი:
აგვისტო/სექტემბერი

გამძლეობა მავნებლებისა და
დაავადებების მიმართ:
გამძლეა დაავადებების მიმართ.



ფეხვი (*Panicum miliaceum*)

უაპი ფეხვი

სახესხეობა: *Panicum miliaceum* var. *subcinereum* Korn.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ნაკლებად მომთხოვნია ნიადაგის, წყლისა და
სითბოს მიმართ.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება:
გავრცელებული იყო ზემო სვანეთსა და
რაჭა-ლეჩხუმში. ზემო სვანეთში დღესაც
ითესება მცირე რაოდენობით, საკარმიდამო
ნაკვეთებზე.



მოხმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
ტრადიციულად აცხობენ ფეტვის მჭადს, ფეტ-
ვჭვიშდარსა და ლუკუნეს. ფეტვის ფქვილს
სვანეთში დღესაც ხმარობენ ხორბლის ან სი-
მინდის ფქვილში შესარევად. ფეტვი ცომს სირ-
ბილესა და განსაკუთრებულ გემოს აძლევს.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
მწვანე მასა გამოიყენება პირუტყვის საკვე-
ბად, მარცვალი სასურსათედ, ასევე ფრინ-
ველთა საკვებად. ამჟამად საქართველოში
მხოლოდ ფრაგმენტულად ითესდება.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:
დაცულია საქართველოს აგრარული უნივერ-
სიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსე-
ბის ბანკში, ასოციაცია „ელკანას“ წნისის
საკოლექციო ნაკვეთში.



საგველას სიგრძე: 25-27 სმ



G 1000 მარცვლის
მასა: 7-8
I მოსავლიანობა
(ჰა): 2-2,5

საგველა:
ფარჩხატია.
საგველას მასა:
საგველადან
გამოცხევილი
მშრალი მარცვლის
მასა 30 გრ-ია.

მარცვალი:
მარცვალი
სამუალო ზომის-
აა, მონაცრისფ-
რო-მოშავო.



წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიში.

კლასი

სავეგეტაციო პერიოდი:
საადრეო ჯიშია.

მცენარის სიმაღლე:

საშუალოზე დაბალია –
80-140 სმ



თესვის პერიოდი:

მოკლე ვეგეტაციის გამო, ეს ჯიში
ორ მოსავალს იძლეოდა. აღმოცენ-
ებიდან ორ თვეში მწიფდებოდა,
ამიტომ თესდნენ გაზაფხულზე და
ზაფხულის მინურულს.



მოსავლის აღების პერიოდი:

მოსავალს იღებდნენ ზაფხულსა და
გვიან შემოდგომაზე.

**გამძლეობა მავნებლებისა და
დაავადებების მიმართ:**

გამძლეა მავნებლებისა და
დაავადებების მიმართ.



ლოგი (*Setaria italica*)

უზიდკვირია, იზივე ორბოსაპალა

სახსსპომბა: *Setaria italica subsp. gomi var. luteosperma* Menabde & Ericzjan



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

სხვა ჯიშებთან შედარებით, ნაკლებად სით-
ბოსმოყვარულია. ვერ ეგუება მჟავე და დაჭა-
ობებულ ნიადაგებს, გვალვავამძლეა.

დაგატავიტი ინფორმაცია:

მიდრეკილია ჩაცვენისადმი, ადვილად იღენება.

გავრცელება:

გავრცელებული იყო, ძირითადად, გურიაში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

ლომი მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით
(განსაკუთრებით B1, B2.), ასევე კალციუ-
მით, კალიუმით, გოგირდით და ფოსფორით.
ლომის ბურღული და ფქვილი გამოირჩევა
ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მაღა-
ლი შემცველობით, აქვს მაღალი ენერგეტი-
კული ღირებულება. აქვს უჯრედისის მაღალი
შემცველობა. ლომის ლომს საპატიო ადგილი
ეკავა დასავლეთ საქართველოს სამზარეუ-
ლოში, რიტუალური დატვირთვაც ჰქონდა –
ლომი დოვლათისა და ბარაქის სიმბოლოდ
მიაჩნდათ.

სანარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

გამოიყენება როგორც სასურსათედ, ისე
საკვებად. საუკეთესოა წინილების გამოსაზრ-
დელად. ამჟამად საქართველოში მხოლოდ
ფრაგმენტულად ითესება.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში:

დაცულია საქართველოს აგრარული უნივერ-
სიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსე-
ბის ბანკში, საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღის კოლექციაში, ასოციაცია
„ელკანას“ წნისის საკოლექციო ნაკვეთში.



საგველა:

მოკლეა, ცი-
ლინდრული,
საკმაოდ წვრილი,
ნაკვეთლებით
მოკლე ყუნწზე.
მარცვალს ფარავს
მოკლე, მაგრამ
ხშირი, მწვანე
ფერის ჯაგრუ-
ლა, რომელიც
საგველაზეა
განვითარებული.
სიმწიფისას ოდნავ
მუქდება და იღებს
ღია მოყავისფრო
ელფერს.

საგველას სიგრძე: 30-35 სმ

საგველას მასა:

საგველას მასა
ლომის სხვა ჯიშე-
ბზე ნაკლებია –
13-15 გრ. მარცვ-
ლის გამოსავალი
საკმაოდ მაღალია
– 93%.



მარცვალი:

მარცვალი მრგვა-
ლია, ყვითელი
ფერის.



მოსავლიანობა
(ჰა): 2-3



წარმოშობა:

დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ადგილობრივი ჯიშია. მიღებულია ძველი ადგილობრივი კაჟა ტიპის ჯიშების კბილა ტიპის სიმინდის ჯიშებთან ბუნებრივი შეჯვარებით. გაუმჯობესებულია საქართველოს სელექციის სადგურში.

აღწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
საგვიანოა – აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე სჭირდება 130-145 დღე.

მცენარის სიმაღლე:
200-270 სმ



თესვის პერიოდი:
აპრილი/მაისი



მოსავლის აღების პერიოდი:
სექტემბერი/ოქტომბერი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
სხვა ჯიშებთან შედარებით, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ გამძლეა.



სიმინდი (Zea mays)

აჯამეთის თეთრი

სახმსხპრმა: *Zea mays var. candida* Dekapr.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

სითბოს მოყვარული მცენარეა. ეგუება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს, გარდა მლაშე და ძლიერ დაჭაობებული ნიადაგებისა. ტენის მოყვარულია.

დაგატავილი ინფორმაცია:

გავრცელება:

ითესება სამეგრელოში, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ბარის ზონაში, აღმოსავლეთ საქართველოში – ალაზნის ველზე, ახმეტისა და თელავის სარწყავ ზონებში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, აჯამეთის თეთრის მარცვლებისგან მიღებული ფქვილი შეუცვლელია სასურსათე ღირებულების თვალსაზრისით. მისგან დამზადებული ღომი და მჭადი პურის შემცველია.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

საქართველოში ყველაზე გავრცელებული სასურსათე ჯიშია.

დღევანდელი მდგომარეობა:

ფართოდ ითესება დასავლეთ საქართველოში. გენეტიკური მასალა დაცულია აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.



ტარო:
ფორმა ცილინ-დრულია ან კონუსური.

დიამეტრი:
4-5 სმ.

ტაროს სიგრძე: 18-24 სმ



მწკრივების რაოდენობა ტაროზე: 10-12



1000 მარცვლის მასა: 350-500



მოსავლიანობა (ჰა): 3,6-4,1

მარცვალი:
მარცვალი თეთრია, ნახევრად კბილა ტიპის.



წარმოშობა:

ძველი ადგილობრივი ჯიშია, გაუმჯობესებულია საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ. ძირითადად გავრცელებულია მთიან და მაღალმთიან ზონებში.

კლასიკა

სავეგეტაციო პერიოდი: მოკლე – 110-120 დღე

მცენარის სიმაღლე: 130-200 სმ

ყვავილი: ყვავილი თეთრია



თესვის პერიოდი: აპრილი/მაისი



მოსავლის აღების პერიოდი: სექტემბერი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ: მცირედ ავადდება ბუშტარა გუდაფშუტით.



სიჩინლი (Zea mays)

კაჟოვანა ყვითელი

სახესხეობა: *Zea mays var. vulgata Körn.*



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ: სითბოს მოყვარულია. ეგუება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს, გარდა მლაშე და ძლიერ დაჭაობებული ნიადაგებისა. სხვა ჯიშებთან შედარებით, მოკლე ვეგეტაციით ხასიათდება, რის გამოც გამძლეა გვალვისადმი.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გავრცელება: ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მესხეთი, ქართლი, სამაჩაბლო, თრიალეთის მთისპირა ურწყავი ზონა. დღესაც ფართოდ ითესება ზემო იმერეთში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები: მაღალხარისხოვანი სასურსათე ჯიშია. მისი მარცვლისგან ამზადებენ ლომს და მჭადს, აგრეთვე გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა: როგორც მოკლე ვეგეტაციის მქონე ჯიში, კაჟა ყვითელი და მისგან გამოყვანილი თვითდამტვერილი ხაზები საქართველოს სელექციონერებმა გამოიყენეს საადრეო, სასურსათე და მაღალპროდუქტიული ჰიბრიდების მისაღებად.

დღევანდელი მდგომარეობა: ფართოდ ითესება ზემო იმერეთში. გენეტიკური მასალა დაცულია აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.



ტარო: ფორმა კონუსურია.

ტაროს სიგრძე: 11-15 სმ



მწკრივების რაოდენობა ტაროზე: 16



1000 მარცვლის მასა: 210-330



მოსავლიანობა (ჰა): 2-2,8

მარცვალი:

მარცვალი კაჟაა, ყვითელი ფერის, თავგადაღესილი მომრგვალო ფორმის.





წარმოშობა:
იმერეთის რეგიონი, ვანი.

ალწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
100-110 დღე. საშუალო საადრეო, ერთწლიანი.

მცენარის სიმაღლე:
67.8 სმ

ფორმის ფორმა:
სწორმდგომი, ოდნავ გადაშლილი

გამრავლების სახე:
ვეგეტატიური



თესვის პერიოდი:
ირგვება გვიან შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე



მოსავლის აღების პერიოდი:
ივნისის ბოლო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების მიმართ გამძლეა. არ მოითხოვს ნამლობას.



ხახვი (*Allium cepa*)

ვანის ხახვი

Allium cepa L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
მოითხოვს ნოყიერ, მსუბუქი შედგენილობის ნიადაგებს. ყინვა- და გვალვაცამძლეა.

დაგატეხილი ინფორმაცია:

გამოირჩევა საუკეთესო გემოთი და ძლიერ არომატულია.

გავრცელება:

გავრცელებულია ვანის მუნციპალიტეტში და იმერეთის რეგიონში, ასევე კახეთის თბილ რეგიონებში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
გამოირჩევა საუკეთესო გემოთი. შიდა წვნიანი ქერქლები ძალიან ნაზია, ნაკლებად ალი-ზიანებს თვალის ლორწოვან გარსს.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ბოლქვი მკვრივია, გამოირჩევა საშუალო შენახვისუნარიანობით, მაგრამ გაღებად დაწნული ინახება ძალიან კარგად.

დღევანდელი მდგომარეობა:

გავრცელებული იყო იმერეთში, ვანის მუნციპალიტეტში და კახეთის თბილ რეგიონებში. ამჟამად მოყავთ გორის მუნციპალიტეტის სოფლებში (მეჯვრისხევი, ხელთუბანი). ბოლო წლებში ამ ჯიშზე მოთხოვნა იზრდება. გენეტიკური მასალა ინახება სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკოლექციო სანერგეში.

ბოლქვი:

ივითარებს მრგვალ, ყელისკენ ოდნავ შევიწროებულ, მრავალბოლქვიან (4-5 ცალი) თავს. გარეთა მშრალი ქერქლები მოვარდისფო-წითელია, ხოლო შიგნითა წვნიანი ქერქლები – მოთეთრო და ღია იისფერი.



G ბოლქვის საშ. მასა: 68,6

I მოსავლიანობა (ჰა): 24,6



წარმოშობა:

შიდა ქართლის რეგიონი, გორი. გამოყვანილია გამორჩევით ადგილობრივი ჯიშ-პოპულაციიდან.

აღწერა

სავეგეტაციო პერიოდი:
სავეგეტაციო პერიოდი 110-130 დღეა.

მცენარის სიმაღლე:
65.3 სმ

ფორმის ფორმა:
სწორმდგომი

გამრავლების სახე:
არამოყვავილე



თესვის პერიოდი:

ირგვება როგორც შემოდგომით, ისე გაზაფხულზე. უმჯობესია შემოდგომით დარგვა.



მოსავლის აღების პერიოდი:

აღმოსავლეთ საქართველოში – 20 ივნისიდან 15 აგვისტომდე; დასავლეთ საქართველოში – 20 ივნისიდან 10 აგვისტომდე.

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

შედარებით გამძლეა ხახვის ბუჩისა და დაავადებების (ჭრაქის, ჟანგა) მიმართ.

ნიორი (*Allium sativum*)

ბოტანიკური

Allium sativum L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ურჩევნია მდიდარი, მსუბუქი შედგენილობის ნიადაგი. ყინვაგამძლეა.

დაავადებითი ინფორმაცია:

გამოირჩევა საუკეთესო გემოთი, ნახევრად ცხარეა.



გავრცელება:

ფართოდ ითესებოდა საქართველოს ყველა ზონაში.

მონარება და ნუტრიციული მასსიათებლები:

გემრიელი, არომატული ჯიშია. გამოიყენება ნედლად, კერძების საკმაზად და მრეწველობაში მწნილების დასამზადებლად.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ბოტანიკური მკვრივი, გამოირჩევა მაღალი შენახვისუნარიანობით.

დღევანდელი მდგომარეობა:

ამჟამად მოჰყავთ გორის მუნიციპალიტეტში. გენეტიკური მასალა ინახება სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკოლექციო სანერგეში.

ბოტანიკური:

ბოტანიკური ფორმა მომრგვალო-ბრტყელია, ოდნავ ზემოთ ამონეული. ბოტანიკური გარეთა ქერქები თეთრი-მოიისფრო შეფერილობისაა. კბილები მსხვილია. ბოტანიკური 7-12 კბილია. კბილის მშრალი ქერქის შეფერვა ნაცრისფერი-მოყვითალოა, გარეთა მხარე იასამნისფერია და ხაოიანი. რბილობის ქერქები კრემისფერია.



G ბოტანიკური საშ. მასა: 70.0

T მოსავლიანობა (ჰა): 18-20



ხილთათვის. ხოლო ხილნი ნალკოტთა მრავალნი ნარინჯი,
თურინჯი, ლიმონი, ზეთის-ხილი, ბრონეული, ყურძენი, ატამი,
ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა,
ხართუთა, ბუსტული, ქლიავი მრავალ-გვარი, ლელვი, მბალი,
ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალ-გვარი, კომში, ნიგოზი,
თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა,
კიტრი; ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი,
ფშატი, ხურმა, ნაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბალამნარა, ბალოჯი,
მაჟაველი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათუს-
სხალა, დათუს-ბაბა, დათუს თხილა, კონახური, მაყვალი მრავალ-
გვარი, ნიგოზი და სხვანიცა, ხოლო მთისანი არიან: მოცხარი,
კლდის-მერსენი, ყოლო, უელი, მოცვი და სხვანიცა მრავალნი.

ვახუშტი გაბონიშვილი

1696-1757

აღწერა სამეფოსა საქართველოსა



ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის.
ევროპის არცერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი.
აზიამიც არსად არ მოდის უკეთესი ბრონეული.

ქან შარღანი

1643-1713

მოგზაურობა საქართველოში



ხეხილი და
კენკროვანი კულტურები



წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიშია, წარმოშობის ადგილად ივარაუდება სოფელი კეხვი (სამაჩაბლო), საიდანაც მოდის ჯიშის დასახელება. აერთიანებს გემოსა და შეფერვის მიხედვით განსხვავებულ კლონებს.

კლასიკა

ზრდის სიძლიერე:
ძლიერი ან ძალიან ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:
ფართოდ გადაშლილი ვარჯით

ყვავილობის პერიოდი:
საშუალო

სიმწიფის პერიოდი:
ოქტომბრის ბოლო/ნოემბრის დასაწყისი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
შედარებით გამძლეა ნაცრის მიმართ.



პეპელი (Malus domestica)

პეპურა

Malus domestica Borkh.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობების მიმართ.

დაგასტუპითი ინფორმაცია:

ტრანსპორტაბელური ჯიშია, საქართველოში გავრცელებულ ჯიშებს შორის ყველაზე ხანგრძლივი შენახვის უნარით ხასიათდება, სარდაფის პირობებში ინახება მას-ივლისამდე.



გავრცელება:
შიდა ქართლი, გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
ძირითადად სასუფრედ გამოიყენება, ასევე იყენებენ წვენების წარმოებაში.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
მნიშვნელობა უკანასკნელ წლებში ძლიერ შემცირებულია.

დღევანდელი მდგომარეობა:
ერთ-ერთი წამყვანი ჯიში იყო წლების განმავლობაში, ახალ ბალებში თითქმის აღარ გვხვდება.


ნაყოფი:
ნაყოფი ოვალურ-მრგვალი ფორმისაა. ძირითადი ფერი მოთეთრო-მოყვითალო, ნაყოფის ზედაპირი 80-95% დაფარულია მუქი ალისფერი მფარავი შეფერვით. ნაყოფის ზომა დიდი ან ძალიან დიდი, საშუალო წონა 180-220 გრ. გემო – საშუალო დამაკმაყოფილებელი.

• **რბილობი:**
თეთრი ფერის, წვნიანი.

• **თესლი/კურკა:**
წვრილი, ყავისფერი.

• **ფოთოლი:**
საშუალო ზომის, ღია მწვანე.

• **მოსავლიანობა:**
მაღალმოსავლიანი, ხასიათდება გამოკვეთილი მენლეობით.





წარმოშობა:

ადგილობრივი ჯიშია, აღწერილია 1939 წელს.

აღწერა

ზრდის სიძლიერე:

ძლიერი ან ძალიან ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:

განიერპირამიდული ვარჯი

ყვავილობის პერიოდი:

საგვიანო, მაისის პირველი დეკადა

სიმწიფის პერიოდი:

ოქტომბრის მეორე ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:

ავადდება ქეცით.



ვაშლი (Malus domestica)

ქართული სინაპი

Malus domestica Borkh.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:

ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობების მიმართ.



დაგატავიტი ინფორმაცია:

გვიანი ყვავილობის გამო, თითქმის არ აზიანებს გაზაფხულის საგვიანო წაყინვა.

გავრცელება:

გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში.

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:

ძირითადად, სასუფრედ გამოიყენება, მოიხმარება ოქტომბრიდან. ჩვეულებრივი სარდაფის პირობებში ინახება გაზაფხულამდე.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

შეზღუდული ლოკალური მოხმარება აქვს, საწარმოო მნიშვნელობა შეზღუდულია.

დღევანდელი მდგომარეობა:

ქველ ნარგაობებში გვხვდება ცალკეული ხეების სახით.

ნაყოფი:

დამახასიათებელი მოგრძო-ცილინდრული ფორმის, კანი მომწვანო-მოყვითალოა; მზის მხარეს შეფერილია ყოლოსფერ-მონითალოდ. შეფერილ ფონზე მკვეთრად ჩანს მოთეთრო კანქვეშა წერტილები. ნაყოფი საშუალო ზომისაა (6.4 X 4.9). მასა 140-160 გრ, მომყავო-მოტკპო, ორიგინალური გემოსი.

რბილობი:

მომწვანო, მკვრივი, საკმაოდ წვნიანი.

თესლი/კურკა:

წვრილი, ყავისფერი.

ფოთოლი:

ღია მწვანე, საშუალო ზომის, შედარებით ვიწრო.

მოსავლიანობა:

მაღალმოსავლიანი ჯიშია, ახასიათებს მენლეობა.





წარმოშობა:

მსხლის კლონების ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ხეჭეჭურის სახელწოდებით.

აღწერა

ზრდის სიძლიერე:
ძალიან ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:
პირამიდული

ყვავილობის პერიოდი:
აღრეული

სიმწიფის პერიოდი:
საგვიანო

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.

მსხალი (*Pyrus communis*)

ხეჭეჭური

Pyrus communis L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
მსხლის კულტურის შესატყვისი სტანდარტული მოთხოვნები.



ნაყოფი:

მსხლისებრი ფორმის, ოდნავ წახნაგოვანი და ბორცვიანი. ძირითადი ფერი მომწვანოა, სრულ სიმწიფეში ზოგიერთი კლონის ნაყოფი მოყვითალო ფერს იღებს, კარგად ემჩნევა მომწვანო-მოთეთრო ფერის კანქვეშა ნერტილები; ზედაპირზე უჩნდება ჟანგისფერი ლაქები. ნაყოფი მსხვილი ან საშუალო ზომისაა, გემრიელი, სუსტი არ-ომატით.

რბილობი:

თეთრი, მსხვილმარცვლოვანი, წვნიანი, შუშხუნა, თესლბუდის ირგვლივ გამერქნებული უჯრედებით.

თესლი /კურკა:

წვრილი, ყავისფერი.

ფოთოლი:

საშუალო ზომის, კვერცხისებრი ფორმის.

მოსავლიანობა:

საშუალო ან მაღალი, მიდრეკილია მენლეობისაკენ.

დაგატავილი ინფორმაცია:

გავრცელება:

მთელ საქართველოშია გავრცელებული.

მოხმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:


ძირითადად, მოხმარება ნედლადა, ზამთარში.

საწარმო-ეკონომიკური მნიშვნელობა:

ტრანსორტირებას კარგად იტანს, ინახება გაზაფხულამდე.

დღევანდელი მდგომარეობა:

ქველ ნარგაობებში გვხვდება ცალკეული ხეების სახით.





წარმოშობა:

მსხლის ადგილობრივი წარმოშობის კლონების ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია გულაბის სახელწოდებით. არჩევენ კახურ, ქართლურ, ახალციხურ, თბილისურ და სხვა სახის გულაბებს.



აღწერა

ზრდის სიძლიერე:
ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:
პირამიდული ან მომრგვალო ვარჯით

ყვავილობის პერიოდი:
საშუალო

სიმწიფის პერიოდი:
აგვისტოს პირველი ნახევარი

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
ნაყოფიც და ფოთლიც ავადდება ქეცით.

მსხალი (*Pyrus communis*)

გულაბი

Pyrus communis L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
მსხლის კულტურის შესატყვისი სტანდარტული მოთხოვნები.

დამატებითი ინფორმაცია:

გავრცელება:
გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.



მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
ნაყოფი მოიხმარება როგორც ზაფხულის ხილი.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
ვერ იტანს ტრანსპორტირებას და ნაკლებად გამოსადეგია გადასამუშავებლად.

დღევანდელი მდგომარეობა:
ერთეული ხეების სახით გვხვდება საქართველოს მეხილეობის რეგიონებში.

ნაყოფი:

ტიპური მსხლის ფორმის, საშუალო ზომის; ძირითადი ფერი მოყვითალო-ლიმონისფერი, კარგად ემჩნევა კანქვეშა მწვანე წერტილები. შესახედავად მიმზიდველია, გემრიელი, წვნიანი; სიმჟავე არ ახასიათებს.

• რბილობი:

თეთრი, წვრილმარცვლოვანი კონსისტენციის, მდნარი, იშვიათად შეინიშნება გამერქნებული უჯრედები.

• თესლი /კურკა:

წვრილი, ელიფსური, ღია ყავისფერი.

• ფოთოლი:

საშუალო ზომის, მუქი მწვანე ფერის.

• მოსავლიანობა:

საშუალო ან მაღალი.





წარმოშობა:

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია მისი ადგილობრივი ფორმები, რომლებიც განსხვავდებიან სამეურნეო-ტექნიკური მაჩვენებლებით და სიმწიფის პერიოდით, თუმცა გარეგნულად ყველა მსგავსია.

კლასიკა

ზრდის სიძლიერე:
ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:
განიერ-პირამიდული

ყვავილობის პერიოდი:
საშუალო

სიმწიფის პერიოდი:
იკრიფება სექტემბრის მეორე ნახევრიდან, დაუკრეფავი ნაყოფი ხეზე ძლებს ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, ხოლო დაკრეფილი – ზამთრამდე.

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
შედარებით გამძლეა დაავადებების მიმართ.



მსხალი (*Pyrus communis*)

კასისთავა

Pyrus communis L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
კარგად ეგუება სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს.



დაგატავილი ინფორმაცია:

სრულ სიმწიფეში რბილობი თესლბუდის ირგვლივ ყავისფერდება და კარგავს სასაქონლო ფორმას.

გავრცელება:
დასავლეთ საქართველო (იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო).

მოსმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
მოიხმარება სასურსათედ, ოჯახურ პირობებში.

სანარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
არა აქვს სანარმოო მნიშვნელობა.

დღევანდელი მდგომარეობა:
გვხდება ცალკეული ხეების სახით დასავლეთ საქართველოს საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ნაყოფი:

მრგვალი ფორმისაა, ფუძე ჩაზნექილი, ყუნწი საშუალო ან მოკლეა; მწვანე ფერისაა, კანი – სქელი, უხეში, მშრალი, ხაოიანი; ნაყოფი მსხვილი ან საშუალო ზომისაა (8.9x8.9 სმ), ტკბილია და აქვს სუსტი არომატი.

რბილობი:

თეთრი ფერის, მსხვილმარცვლოვანი, მკვრივი, წვნიანი.

თესლი /კურკა:

წვრილი, ოვალური ფორმის, ყავისფერი.

ფოთოლი:

მრგვალი, მუქი მწვანე ფერის.

მოსავლიანობა:

საშუალო, ზოგჯერ მაღალი, მიდრეკილია მწიფეობისაკენ.





წარმოშობა:

სასელოს სახელწოდებით გაერთიანებულია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ზაფხულის მსხლის ჯიშების კლონური სახესხვაობები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პომოლოგიური ნიშნებით. ქვემოთ აღწერილი სასელო ზემო იმერეთის ადგილობრივ ჯიშთა ჯგუფის წარმომადგენელია.

აღწერა

ზრდის სიძლიერე:
ძლიერი ზრდის

ხის ფორმა:
განიერ-პირამიდული

ყვავილობის პერიოდი:
ადრეული

სიმწიფის პერიოდი:
მწიფს ივლისის პირველ ნახევარში. საკრეფი და მოსახმარი სიმწიფე დგება ერთდროულად.

გამძლეობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ:
შედარებით გამძლეა დაავადებების მიმართ.

მსხალი (*Pyrus communis*)

სასელო

Pyrus communis L.



მოთხოვნა გარემო პირობების მიმართ:
ნაკლებად მომთხოვნია.



დაგატავილი ინფორმაცია:

ნაყოფები ინახება მოკრეფიდან 8-10 დღე.

გავრცელება:
დასავლეთ საქართველო, იმერეთი.

მოხმარება და ნუტრიციული მახასიათებლები:
მოიხმარება ნედლად.

საწარმოო-ეკონომიკური მნიშვნელობა:
ტრანსპორტირებას კარგად იტანს.

დღევანდელი მდგომარეობა:
გვხდება ცალკეული ხეების სახით ზემო და ქვემო იმერეთში.

ნაყოფი:


ნაყოფი მომრგვალო-მსხლისებრი, სიმეტრიული ფორმისაა; მომწვანო-მოყვითალოა, სრულ სიმწიფეში ოქროსფერ-ყვითელი ელფერი ედება; მთელი ზედაპირი უხვადაა მოფენილი ჟანგისფერი წერტილებითა და წვრილი ლაქებით. კანქვეშა წერტილები მსხვილია და მორუხო ფერის. ნაყოფი საშუალო ზომისაა, გემრიელია, სუსტი არომატით.

• **რბილობი:**
